საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-901

07/10/2020

ქ. თბილისი

„საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ქვ. წევა-არგვეთას მონაკვეთის (F4) (ზესტაფონის მუნიციპალიტეტში) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 მარტის №2-181 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ იქნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ქვ. წევა-არგვეთას მონაკვეთის (F4) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 მარტის №2-181 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ბრძანების პირველ და მე-3 პუნქტებში მითითებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი (№17; 14.03.2018წ), რაც საჭიროებს შესწორებას.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ქვ. წევა-არგვეთას მონაკვეთის (F4) (ზესტაფონის მუნიციპალიტეტში) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 მარტის №2-181 ბრძანების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ქვ. წევა-არგვეთას მონაკვეთის (F4) (ზესტაფონის მუნიციპალიტეტში) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე;”

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა საქმიანობა განახორციელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით:“

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი